ვიქტორია და ნიაგარა

დედამიწაზე ბევრი ჩანჩქერი არსებობს. შენი აზრით, რით შეიძლება ისინი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან? წაიკითხე ტექსტი და შეამონმე შენი ვარაუდი.

ჩანჩქერი ბუნების ერთ-ერთი საოცრებაა. იგი წარმოიქმნება იქ, სადაც მდინარე საფეხურის მსგავსი **კალაპოტიდან** ვარდება. ასეთი „საფეხურის“ სიმაღლე შეიძლება რამდენიმე ასეული მეტრიც კი იყოს. ვარდნის დროს ჩანჩქერი ძალიან ლამაზი სანახავია. თავისი აქაფებული წყლით იგი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

დედამიწაზე უამრავი ჩანჩქერი არსებობს. მათ შორის თავისებური სილამაზით გამოირჩევა ვიქტორია და ნიაგარა.

ვიქტორია მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ჩანჩქერია. ის აფრიკაში მდებარეობს, მდინარე ზამბეზზე. ვიქტორია ორი ქვეყნის, ზამბიისა და ზიმბაბვეს, საზღვარზეა. მას ინგლისის დედოფლის სახელი ჰქვია. აფრიკელები კი ამ ჩანჩქერს თავიანთ ენაზე მგრგვინავ კვამლს ეძახიან.

მგრგვინავი კვამლი სიგანეში 1708 მეტრია. იგი ვარდება 108 მ სიმაღლიდან. ვარდნის ხმა თითქმის 40 კმ-ზე ისმის. ამ დროს 400 მ სიგანის ორთქლი და ნისლი წარმოქმნება. მისი წყლის შხეფები 50 კმ-იდანაც კი ჩანს. ეს სანახაობა შორიდან კვამლს ჰგავს. ერთი შეხედვით გეგონება, რომ **აქტიური** ვულკანის კრატერიდან კვამლი ამოდის. ჩანჩქერის წყლის წვეთები მთელი დღის განმავლობაში ცისარტყელას წარმოქმნის. ყველაზე საოცარი ის არის, რომ იგი ზოგჯერ ღამითაც ჩნდება.

ჩანჩქერის პირას **ტბორი** წარმოიქმნება. მას უცნაური სახელი, „ეშმაკის აუზი“, ჰქვია. თუმცა იქ ცურვა არც ისე საშიშია. ტბორის **ფსკერზე** ქვის **ბუნებრივი** კედელია. იგი მოცურავეს საიმედოდ იცავს, რომ დინებამ არ წაიღოს და **უფსკრულში** არ ჩაიტანოს.

აფრიკის ამ საოცრებას ყოველ წელს ასიათასობით უცხოელი ტურისტი სტუმრობს. ვიქტორია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაშია შესული.

ჩანჩქერი ნიაგარაც ორი ქვეყნის, აშშ-ისა და კანადის, საზღვარზეა. მისი ერთი ნაწილი კანადის მხარეს მდებარეობს. აქ წყალი 53 მ სიმაღლიდან ეცემა. იგი სიგანით 700 მ-ია. მეორე ნაწილი ამერიკის მხარესაა. მისი ვარდნის სიმაღლე 21-30 მ-ია, სიგანე – 323 მ. ამ ორ ნაწილს ერთმანეთისგან კუნძული ყოფს. ჩანჩქერის სახელი აქ მცხოვრები ინდიელების ენიდან მომდინარეობს. ის ნიშნავს წყალს, რომელიც გრგვინავს.

ულამაზეს ნიაგარას ყოველ წელს უამრავი ტურისტი სტუმრობს. მათ შეუძლიათ საბაგირო გზით, ვერტმფრენითა თუ საჰაერო ბურთით ზევიდან გადმოხედონ ნიაგარას. ზაფხულში ჩანჩქერს ღამღამობით სხვადასხვა ფერის პროჟექტორებით ანათებენ. ეს ძალიან ლამაზი სანახავია.

1885 წლიდან ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორია **ნაკრძალია.**

შენი აზრით, ყველაზე მეტად რით ხიბლავს ჩანჩქერი ვიქტორია მნახველს?

კომპონენტი: შედარება-შეპირისპირება, **დონე:** 4.3

LIVEWORKSHEETS

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ტექსტის მიხედვით, ორივე ჩანჩქერი:

ა) ერთ ქვეყანაში მდებარეობს.

ბ) მნახველს ცისარტყელებით აოცებს.

გ) ორი ქვეყნის საზღვარზეა.

2 „წყალი, რომელიც გრგვინავს“, — ასე უწოდებენ ადგილობრივი მცხოვრებნი:

ა) ვიქტორიასა და ნიაგარას.

ბ) მხოლოდ ჩანჩქერ ვიქტორიას.

გ) მხოლოდ ჩანჩქერ ნიაგარას.

3 ტექსტში ნათქვამია, რომ ვიქტორია ნიაგარაზე:

ა) უფრო განიერი ჩანჩქერია.

ბ) უფრო საშიში ჩანჩქერია.

გ) უფრო ძველი ჩანჩქერია.

4 „ეშმაკის აუზს“ უწოდებენ იმ ადგილს:

ა) სადაც ვიქტორიას ვარდნისას ორთქლი წარმოიქმნება.

ბ) სადაც ჩანჩქერ ვიქტორიასთან ტბორი წარმოიქმნება.

გ) სადაც კუნძული ნიაგარას ორ ნაწილად ყოფს.

5 იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შესულია:

ა) ნიაგარის მიმდებარე ტერიტორია.

ბ) უზარმაზარი ჩანჩქერი ვიქტორია.

გ) ულამაზესი ჩანჩქერი ნიაგარა.

LIVEWORKSHEETS

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. **აქტიური** ვულკანის კრატერიდან კვამლი ამოდის.

   ა) მოქმედი. ბ) უზარმაზარი. გ) ჩამქრალი.

2. ჩანჩქერის პირას წარმოიქმნება **ტბორი.**

   ა) გუბე. ბ) ზღვა. გ) ტბა.

3. ადამიანს კედელი იცავს, რომ წყალმა **უფსკრულში** არ ჩაიტანოს.

   ა) მოზრდილ ტბორში. ბ) ღრმა ხევში. გ) სწრაფ მდინარეში.

2 ხაზებით შეაერთე სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. კალაპოტი	ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების მიზნით დაცული ტერიტორია.
2. ნაკრძალი	ვულკანის ჩაღრმავებული ადგილი, საიდანაც ამოდის ლავა.
3. კრატერი	მიწის ჩაღრმავებული ზედაპირი, რომელშიც წყალი მიედინება.

3 ხაზებით დააკავშირე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები).

ფსკერი	ბურუსი
კვამლი	ძირი
ნისლი	ბოლი

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ჩანჩქერის სახელი ინდიელების ---------- მომდინარეობს. ***(ენიდან / ენისგან)***

2. აფრიკელები ჩანჩქერ ნიაგარას ---------- ენაზე მგრგვინავ კვამლს ეძახიან. ***(თავის / თავიანთ)***

2 რომელ სიტყვას ვერ გადაიყვან მრავლობით რიცხვში?

ა) დედოფალი. ბ) მხარე. გ) ორთქლი. დ) წვეთი.

LIVEWORKSHEETS

გრამატიკა

3 **იპოვე შეცდომები და აღნიშნე X- ით.**

[X] *სხვა და სხვა.*	[ ] *სხვადასხვა.*
1. [ ] დიდი სიმაღლედან.	[ ] დიდი სიმაღლიდან.
2. [ ] ღამღამობით.	[ ] ღამ-ღამობით.
3. [ ] კედელის.	[ ] კედლის.

4 **დაწერე სიტყვები ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: ჰაერი – საჰაერო.

1. ბაგირი – ----------.
2. ზაფხული – ----------.

წერა

1 **შეავსე ვენის დიაგრამა. დაწერე, რით ჰგავს ვიქტორია და ნიაგარა ერთმანეთს და რით განსხვავდება.**



2 **წარმოიდგინე, რომ საშუალება მოგეცა მეგობართან ერთად ეწვიო ერთ-ერთ ჩანჩქერს. რომელს აირჩევდი და რატომ? მისწერე წერილი მეგობარს და შეატყობინე ეს ინფორმაცია. დაუსაბუთე შენი არჩევანი. წერილი გააფორმე ნახატით.**

LIVEWORKSHEETS